

**სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის
თავისუფლება) მოთხოვნათა შესრულების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის 49-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ამავე კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების შესრულებისა და კოდექსში მითითებული ვადების დაცვის მდგომარეობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით:

ა) საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით შემოსულია 1 მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა სამსახურში არ დაფიქსირებულა;

გ) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამსახურის უფროსის გიორგი დუგლადისა და ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის) თამარ კალანდაძის მიერ.

დ) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

ე) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დაფიქსირებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, მოსამსახურეებზე არ განხორციელებულა დისციპლინური სახდელის დაკისრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

ვ) ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს არ ჰქონია.